შპს „ვასაძის ჩაი“

ს/კ 237094032 ; ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნატანები ; E-mail: mamaladzesaba24@gmail.com ; ტელ.: 5 99 27 14 06

„—24—„-აგვისტო-„ 2022 წ.

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

შპს „ვასაძის ჩაი“-ს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნასაკირალის ტერიტორიაზე, კომპანიის საკუთრებაში არსებულ სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N26.29.28.184) გაშენებული აქვს ლურჯი მოცვის პლანტაცია. მოცვის ნარგავების გაშენება მოხდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, „დანერგე მომავალი“ პროგრამის ფარგლებში.

სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად მოწყობილია წვეთოვანი სისტემა. მოცვის ნარგავების მოსარწყავად წყლის აღება ხდება მდ. სკურდუმიდან, რომელიც ჩამოედინება მიწის ნაკვეთის სამხრეთ საზღვართან.

რადგან სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 1.3. პუნქტით გათალისწინებულ საქმიანობას, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამინისტროში წარმოდგენილი იქნა სკრინინგის განაცხადი, რომელზედაც სააგენტოს 16/08/2022 N21/4469 წერილით გამოგვეგზავნა შენიშვნები.

წარმოგიდგენთ შენიშვნების გათვალისწინებით გასწორებულ სკრინინგის განაცხადს, გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დამატებით გაცნობებთ, რომ რადგან ჩვენს მიერ სამელიორაციო სისტემა უკვე მოწყობილია და ფუნქციონირებს, სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპატრამენტის მიერ შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც განიხილა ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ.

დანართი: სკრინინგის განაცხადი და ელ. ვერსია;

ტერიტორიის shp ფაილები.

პასუხენი N21/4469 წერილით გამოგზავნილ შენიშვნებზე

სასამართლოს სხდომის ოქმი

პატივისცემით

მერაბი ვასაძე

დირექტორი

მ. ვასაძე

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
-25- 08 2022 წ.
№ 4312